პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ხუთშაბათი 27 იანვარი № 22 (16759) ფასი 2 კაპ. 1977

ამხანაგებო! ჩვენს სამშობლოს თავისი დიდი იუბილეს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის წელი დაუდგა...

საკავშირო ცენტრალური კომიტეტის აზრით, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ხაბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა უზრუნველყონ მაღალი ორგანიზებულობა, მუშაობის მწყობრი რიტმი მინდვრებსა და ფერმებში, არ დაუშვან კოლმეურნეობრივ-საბჭოთამეურნეობრივ წარმოებაში რაიმე შეფერხება, მოცდენა, „ფუჭი“ დღეები. ყოველი შრომითი საათი კონკრეტული წვლილი უნდა იყოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში.

საკავშირო ცენტრალური კომიტეტის წერილიდან

საკავშირო ცენტრალური კომიტეტი

საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი

„მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი საკავშირო კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელობის შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიის ტომსკის საოლქო კომიტეტი, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მიზანმიმართულ მუშაობას ეწევიან პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სისტემის სრულყოფისათვის, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, იმ დებულებებისა და დასკვნების პროპაგანდისა და შესრულების ორგანიზაციაში მათი როლის გაძლიერებისათვის, რომლებიც საკავშირო ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა მოხსენებაში „საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში. ოლქის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებები აქტიურად უწყობს ხელს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

პარტიული კომიტეტები განსაზღვრავენ გაზეთების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაობის ძირითად მიმართულებებს, ახდენენ მათი საქმიანობის ზუსტ კოორდინაციას, ყურნალისტთა მრავალმხრივ ინფორმირებას, აღწევენ მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების შინაარსის გაუმჯობესებას, მათი გამოსვლების ქმედითობის ამაღლებას.

სკკპ საოლქო კომიტეტს, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ყურადღების ცენტრში აქვთ კადრების შერჩევისა და აღზრდის, მათი იდეური და პროფესიული დონის ამაღლების საკითხები. რაიონული და მეტი წილი მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორები არჩეული არიან პარტიული კომიტეტების ბიუროების წევრებად.

პარტიულ კომიტეტებს პრესა მიაჩნიათ მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრების უმნიშვნელოვანეს იარაღად, უზრუნველყოფენ საქმიან და ანგარიშგასაწევ დამოკიდებულებას პრესის სიგნალებისადმი, კონტროლს უწევენ საპრობლემო საკითხებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებს, ხოლო მათგან ყველაზე უმნიშვნელოვანესს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროებზე იხილავენ. სკკპ საოლქო კომიტეტი მწვავედ და ოპერატიულად რეაგირებს პრესაში კრიტიკისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტებზე.

დადებითად შეაფასა რა პარტიის ტომსკის საოლქო კომიტეტის მუშაობა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამასთან აღნიშნა, რომ ოლქის ყველა პარტიული კომიტეტი სრულად როდი იყენებს პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საზოგადოებრივ ძალას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მეათე ხუთწლედის დავალებების შესასრულებლად მშრომელთა დარაზმებისათვის; საკმაოდ მაღალი არ არის პრესის მუშაობის ეფექტიანობა პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის, მოწინავე შრომითი თაოსნობების გავრცელებისათვის.

გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი ყოველთვის შინაარსიანად და სისტემატურად არ შუქდება შინაპარტიული მუშაობის საკითხები, ნაკლებად ქვეყნდება მასალები პარტიული ჯგუფების ცხოვრების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, შემოქმედებითი კოლექტივების, მართვის აპარატის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. შენელებულია პრესის ყურადღება იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისადმი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სკკპ ტომსკის საოლქო კომიტეტს, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს სკკპ XXV ყრილობის მითითებების შესაბამისად განაახორციელონ ღონისძიებები მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი პოლიტიკური ხელმძღვანელობის სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის, მათი იდეური დონის ამაღლებისა და ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაზე, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების გაძლიერებისათვის. პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მთელი ყურადღება მიაპყრონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე მისი სიტყვის დებულებებისა და დასკვნების შესრულების ორგანიზაციას, თვითეულ უბანზე მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენების, ახალი ობიექტების მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოების საკითხთა ღრმად გაშუქებას. უზრუნველყონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა აქტიური მონაწილეობა სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის შემდგომ განვითარებაში, განსაკუთრებით შრომითი კოლექტივების, მუშათა, სოფლის მეურნეობის მშრომელთა, ინტელიგენციის მოწინავე გამოცდილების, ინიციატივისა და ნოვატორობის პროპაგანდაში.

პრესამ უნდა გამოავლინოს და გააანალიზოს დასახული მოჯნებისაგან ცალკეული საწარმოებისა და მეურნეობების ჩამორჩენის მიზეზები, მწვავედ გაილაშქროს შრომის დისციპლინის დარღვევის, ლოთობისა და ხულიგნობის, არაორგანიზებულობისა და უყაირათობის ფაქტების წინააღმდეგ. პრესის ორგანოებს ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესების პრობლემები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული კომიტეტების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა გააძლიერონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების როლი მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდათა და მოზარდთა შორის იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში. პრესამ, ტელევიზიამ და რადიომაუწყებლობამ სულ უფრო აქტიური გავლენა უნდა მოახდინონ საბჭოთა ადამიანებისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მაღალი ზნეობის ფორმირებაზე, მკაფიოდ უჩვენონ საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობა, გადაჭრით ამხილონ ბურჟუაზიული პროპაგანდის ხრიკები, ებრძოლონ კომუნისტური მორალის ნორმებისაგან გადახვევის წინააღმდეგ. საჭიროა პრესა უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის გაძლიერებისათვის, აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი კომპლექსური მიდგომის განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში ოჯახის, სკოლის, შრომითი კოლექტივის, საზოგადოებრივი საქმიანობის როლის ამაღლებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიულ კომიტეტებს უზრუნველყონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებით პარტიისა და მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი როლის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისადმი, მშრომელთა პოლიტიკური აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოდლების ღრმად გაშუქება. მკაფიოდ და დამაჯერებლად გაუწონონ პროპაგანდა საბჭოთა წყობილების დემოკრატიულ ხასიათს, სოციალისტური საზოგადოების მინისტრი კე ინ თნე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე კიმ ჩერ მანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ტენ ინ ჩერი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის მინისტრის მოადგილე ლი ტი სენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კიმ ჯე ბონი.

ჩვენი შრომითი ნობათები — დიდი ოქტომბრის საიუბილეოდ!

მანგანუმის ტონები

ჟიათურა. (ხაკ. კორ.). მოწინავე გვირაბგამყვანები შ. კაკანაძე, ლ. ხითარიშვილი, დ. კურტანიძე პირველნი გამოვიდნენ სტალინის სახელობის მაღაროთა სამმართველოში ინიციატორებად ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. თოსნები სიტყვას საქმით ამშვენებენ. წლეულს ტონობით ზეგეგმითი მანგანუმის მადანი ამოღებული მათს პირად ანგარიშზე.

ინიციატორებს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. სამთოელებმა იკისრეს: წლიური დავალების გადამეტებით დაამზადონ 4.000 ტონა სასაქონლო პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1 პროცენტით, ძირითადი და დამხმარე მასალების ეკონომიით დაზოგონ 30 ათასი მანეთი.

ყველა საწარმოო უბანი გამართულად მუშაობს, ისინი დღიური დავალების გადამეტებით ათეულობით ტონა მადანს უგზავნიან გამამდიდრებელ ფაბრიკას.

იზრდება სიმძლავრე

დაიწყო ავჭალის შუშის ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოები. იდგმება ახალი მოწყობილობა, უმჯობესდება საწარმოო პროცესები. წლის ბოლოს, როცა სამუშაოები დამთავრდება, ქარხნის სიმძლავრე 10 მილიონი ბოთლით გაიზრდება.

— ახლა ორ ფრონტზე ვშრომობთ, — თქვა საწარმოს პარტბიუროს მდივანმა ვ. სალარაძემ, — წარმოების მოცულობის გადიდების და ეფექტიანობის ამაღლებისათვის ნაკისრი ვალდებულებებიც უნდა შევასრულოთ და რეკონსტრუქციით გამოწვეული შეფერხებაც უნდა დავძლიოთ.

გაიშალა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. იგი მიმდინარეობს დევიზით — „პირადი საჩუქრები დიად თარიღს“.

საპატიო დამდგით

ახალი წლიდან ორი ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვებას შეუდგნენ თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, ეს არის საკაბე-სკოსტუმე და მოჩითული ქსოვილები, ისინი კოლორიტითა და მოხატულობით საუკეთესო სტანდარტების დონეზეა.

წლეულს თბილისელი ფეიერები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული ვრცელი და შინაარსიანი გეგმის შესრულებას შეუდგნენ. მათ გათვალისწინებული აქვთ სულ უფრო გაზარდონ წარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი. ერთ ნაწარმს — ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილს უკვე მიენიჭა ეს საპატიო დამდგი.

— გაერთიანების საწარმოებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის, — თქვა ჩვენთან საუბარში მისმა გენერალურმა დირექტორმა ვ. მამუჩაშვილმა, — წლეულს გეგმის გადამეტებით უნდა გამოვუშვათ ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია, რამდენიმე ათასი მეტრი მზა ქსოვილები.

იანვრის განვლილი 20 დღის დავალება ვადაჭარბებით შესრულდა. უკიჩრები მუშაობის დასახულ გრაფიკს იცავენ. („კომ“. კორ.).

სოციალისტური შეჯიბრების სამოცავეში

ზეგეგმითი ათასები

ქუთაისის ლითოფონის ქარხანა კომუნისტური შრომის საწარმოა. მისმა კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა და 486 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. მარტო საზღვარგარეთის ქვეყნებში ოთხი ათას ტონაზე მეტი სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი შაბიამანი გაიგზავნა.

ქუთაისელმა მელითოფონეებმა ახალი წელიც დამკვრელური შრომით დაიწყეს. კარგი მაჩვენებლები აქვს თუთიის აკასპის საამქროს კოლექტივს. უკვე დამზადებულია ათასობით ტონა თუთიის სულფატი.

ქარხნის კოლექტივი ჩაება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. კოლექტივმა გაზრდილი ვალდებულებები იკისრა და გადაწყვიტა გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 2,5 პროცენტით გაზარდოს.

* * *

სურათზე: საამქროს უფროსი მეაპარატე რეზო სამხარაძე. იგი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს.

გ. გერსამიას ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ივნისის ანგარიშში

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში ეთერ ჩაჩანიძე ერთ-ერთი საუკეთესო გადამხვევია. ზუსტად და შეწყობილად მუშაობენ მანქანები, რომლებსაც იგი ემსახურება, მოცდენები მან მინიმუმამდე შეამცირა. ეთერმა მნიშვნელოვნად გააფართოვა სახვევი დოლების მომსახურების ზონა, რაც შესაძლებლობას აძლევს ცვლაში გეგმით გათვალისწინებული 95 კილოგრამის ნაცვლად გამოუშვას 130 კილოგრამი ნართი.

ეთერ ჩაჩანიძე კომბინატში ერთ-ერთი პირველი ჩაება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

წარმოების მოწინავე მუშაკი მნიშვნელოვნად უსწრებს დროს და ახლა მეათე ხუთწლედის მეორე წლის ივნისის ანგარიშში შრომობს.

სურათზე: თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე გადამხვევი ეთერ ჩაჩანიძე.

ვ. მორგუნოვის ფოტო

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

26 იანვარი

„პრავდის“ ფურცლებზე

ნომრის საერთო ანშლაგია — „ოქტომბრის მე-60 წლისთავს — ღირსეული შეხვედრა!“.

იანვრის ამ დღეებში, წერს გაზეთი, განსაკუთრებული მოხდომებით მუშაობენ სოფლის მშრომელები. მათ კარგად იციან, რომ სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატების მტკიცე საფუძვლის ჩაყრა შეიძლება მხოლოდ საგაზაფხულო მინდვრის ალოობისათვის სანმუშო მომზადებით, პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებით. კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებს მუშებს, სპეციალისტებს დაჩქარულო შრომას შთააგონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და ჰრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

წლის დამდეგიდანვე უპირველეს ყურადღებას მოითხოვს სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის ორგანიზაცია, — ნათქვამია მეთაურ წერილში („ერთმანეთს ეჯიბრებიან სოფლის მშრომელები“), — აქ კარგად ემსახურებიან საქმეს ცხოვრებით შემოწმებული ისეთი ფორმები, როგორიც არის მაჩვენებელთა დაფები, ურთიერთშემოწმებები, კონფერენციები გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის და სხვ. თუ დაწესებული არ იქნება ყოველდღიური კონტროლი, თავიდან ვერ ავიცილებთ ფორმალიზმის გამოვლინებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება. ზოგიერთი ხელმძღვანელი კისრულობს ვალდებულებებს, დებს ხელშეკრულებებს, მაგრამ როგორც კი საქმე ანგარიშგებაზე მიდგება, ივიწყებს დაპირებებს.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა, კომუნისტების, ყველა სოფლის მშრომელის საბრძოლო ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ ზამთრის სამუშაოთა მწყობრი რიტმი, სოციალისტური ვალდებულებანი განამტკიცონ შეჯიბრების ახალი აღმავლობით, ღირსეულად შეხვდნენ სახელოვან ისტორიულ თარიღს — დიდი ოქტომბრის 60 წლისთავს.

რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება: წინა ხაზზე“ წარმოდგენილია ბელორუსიის კომპარტიის გომელის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. გეოზდევის წერილით — „როცა აქტივის როლს ვამაღლებთ“.

მეტად პრობლემურ საკითხს ეხება ი. კაზმინის წერილი — „საკუთარი“ ავტომობილი“ (ურსა — ეფექტიანობა).

მკითხველი ინტერესით გაეცნობა ცნობილი რუსი მწერლის სერგეი ზალიგინის შეხვედრებს ასევე ცნობილი რუსი მწერლის ვიქტორ ასტაფიევის შემოქმედებაზე („გამოცდილების ოპტიმიზმი“).

გაზეთი კვლავ უხვად აქვეყნებს საკავშირო და საერთაშორისო ინფორმაციას.

ПРАВДА

ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა მიიღეს პაკ სენ ჩერი

26 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი პაკ სენ ჩერი, რომელიც მეგობრული ვიზიტად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება სხვადასხვა ოარგში საბჭოთა კავშირ-კორეის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აზიაში შექმნილ გითარებას.

აზ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად უჭერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია კორეის მშვიდობიანი დემოკრატიული გაერთიანება კორეელი ხალხის მისწრაფების შესაბამისად. პაკ სენ ჩერმა განაცხადა, რომ კორეელი ხალხი დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის ამ ინტერნაციონალისტურ პოზიციას.

საუბრის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კორეის შრომის პარტიის ურთიერთობის განმტკიცება, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირ-კორეის თანამშრომლობის გაღრმავება შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ ინტერესებს, შორეული აღმოსავლეთის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

საუბარს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა, ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. ა. კრიულინი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის მოადგილე, საგარეო ვაჭრობის მინისტრი კე ინ თნე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე კიმ ჩერ მანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ტენ ინ ჩერი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის მინისტრის მოადგილე ლი ტი სენი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კიმ ჯე ბონი.

მოლაპარაკება დამთავრდა

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1977 წლის 24-26 იანვარს საბჭოთა კავშირში მეგობრულ ვიზიტად იყო ჩამოსული კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის აღმინისტრაციული საბჭოს პრემიერი პაკ სენ ჩერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისა და გაღრმავების. გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხებსა და ორივე მხარისათვის საინტერესო პრობლემებზე.

მხარეებს სწამთ, რომ გამართული მოლაპარაკება ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის და თანამშრომლობის განვითარებას.

26 იანვარს მოსკოვიდან გაემგზავრა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი პაკ სენ ჩერი, რომელიც მეგობრულ ვიზიტად ჰყავდა მოწვეული სსრ კავშირში საბჭოთა მთავრობას.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ამხანაგი პაკ სენ ჩერი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ინდოეთის ეროვნული დღესასწაული

25 იანვარს მოსკოვში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ინდოეთის ეროვნულ დღესასწაულს — რესპუბლიკის დღეს.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ა. პელშე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ს. ბარაკაუსკასი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ე. დიმშიცი და სხვა ხელმძღვანელები.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტმა სსრ კავშირის მინისტრმა ნ. ვ. გოლდინმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ განუხრელად ვითარდება ორი ქვეყნის მჯიღრო მეგობრობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში ი. კ. გუჯრალმა. (საკდესი).

ჩვენი კორესპონდენტები გვაცნობებენ

გაზაფხულს — გამართული ტექნიკა!

ბრძოლა მოსავლის სიუხვისათვის

მარნეული. („კომუნისტის“ კორ.). იანვრის დღეებში მარნეულის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ო. მახაგაძე) სახელოსნოში ზეინკლები, ხარატები, მექანიზატორები ყოველდღე სრული დატვირთვით მუშაობენ, რემონტს უკეთებენ ტრაქტორებს, სათესებს, გუთნებს, კულტივატორებს და სხვა ტექნიკას. ახალი შეკეთებული ტრაქტორით მექანიზატორები საგაზაფხულოდ თავთავიანი მარცვლეული კულტურების, სიმინდისა და ბოსტნეულის დასათესად ამზადებენ ნიადაგს.

მეურნეობაში წლეულს გადაწყვეტილი აქვთ 20 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 35 ცენტნერი პურეულის მარცვალი, სიმინდისა და ბოსტნეულის უხვი მოსავალი მიიღონ. მხვნელ-მთესველებმა კარგად იციან, რომ საგაზაფხულო კულტურების აგროვადებში დასათესად საჭიროა თესლის დროულად მომარაგება. ყველა სახის საჭირო სათესლე მასალა კონდიციამდე აიყვანეს და შშრალ, სიმედო ადგილას შეინახეს.

ახალი მიჯნების ასაღებად

ბეჭეჭაორი. („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და „სოფტექნიკის“ სახელოსნოების მექანიზატორთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: გაზაფხულს — გამართული ტექნიკა! ნაგვაზაოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თამჯდომარე დ. ჯელია), გუთნები და სათესი მანქანები ჯერ კიდევ იანვრის პირველ ნახევარში შეკეთდა. მომამარაგეს ყველა სახის თესლი. სიმინდის დასათესად ნიადაგი ძირითადად მზრალად მოხნეს. ახლა ახალშეკეთებული ტრაქტორებით ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ამოშავებენ ნიადაგს.

ტრაქტორისა და სხვა ტექნიკის რემონტი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და გადაწყვეტილი აქვთ 20 თებერვლისათვის დაამთავრონ აბედათის, გაქედილის, კურუხის, თამაკონის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

საკავშირო ცენტრალური კომიტეტი

საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი

„მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი სკკპ ტომსკის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიის ტომსკის საოლქო კომიტეტი, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მიზანმიმართულ მუშაობას ეწევიან პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სისტემის სრულყოფისათვის, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, იმ დებულებებისა და დასკვნების პროპაგანდისა და შესრულების ორგანიზაციაში მათი როლის გაძლიერებისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა მოხსენებაში „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში. ოლქის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებები აქტიურად უწყობს ხელს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

პარტიული კომიტეტები განსაზღვრავენ გაზეთების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაობის ძირითად მიმართულებებს, ახდენენ მათი საქმიანობის ზუსტ კოორდინაციას, ყურნალისტთა მრავალმხრივ ინფორმირებას, აღწევენ მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების შინაარსის გაუმჯობესებას, მათი გამოსვლების ქმედითობის ამაღლებას.

სკკპ საოლქო კომიტეტს, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ყურადღების ცენტრში აქვთ კადრების შერჩევისა და აღზრდის, მათი იდეური და პროფესიული დონის ამაღლების საკითხები. რაიონული და მეტი წილი მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორები არჩეული არიან პარტიული კომიტეტების ბიუროების წევრებად.

პარტიულ კომიტეტებს პრესა მიაჩნიათ მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრების უმნიშვნელოვანეს იარაღად, უზრუნველყოფენ საქმიან და ანგარიშგასაწევ დამოკიდებულებას პრესის სიგნალებისადმი, კონტროლს უწევენ საპრობლემო საკითხებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებს, ხოლო მათგან ყველაზე უმნიშვნელოვანესს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროებზე იხილავენ. სკკპ საოლქო კომიტეტი მწვავედ და ოპერატიულად რეაგირებს პრესაში კრიტიკისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ფაქტებზე.

დადებითად შეაფასა რა პარტიის ტომსკის საოლქო კომიტეტის მუშაობა მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამასთან აღნიშნა, რომ ოლქის ყველა პარტიული კომიტეტი სრულად როდი იყენებს პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საზოგადოებრივ ძალას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მეათე ხუთწლედის დავალებების შესასრულებლად მშრომელთა დარაზმებისათვის; საკმაოდ მაღალი არ არის პრესის მუშაობის ეფექტიანობა პრა

ყველაფერი საბჭოთა ადამიანის საკეთილდღეოდ!

დევიზი:
მშრომელ ადამიანებს შევუმსუბუქოთ საოჯახო საზრუნავი, დავუზოგოთ თავისუფალი დრო, შევუქმნათ ხელსაყრელი გარემო განათლებისა და კულტურული აღზრდისთვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წესებრივად

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

აბრას ამოფარებულნი

კომუნისტები საყოფაცხოვრებო მომსახურების ნაკლოვანებებზე მსჯელობენ

ამ დღეებში საჩხერეში მოეწყო რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ღია პარტიული კრება. მოხსენებით — „ზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში — „თითქოს კერძო დუქანია“ — მხილებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ — გამოვიდა რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი მ. დადიანი. თავისთვი მოსაზრებები გამოთქვეს კომუნისტებმა. ხელოსნებმა დ. კიბარაოძემ, ტ. სიხვაძემ, გ. ღუდუნიშვილმა, დ. ცერცვაძემ, გ. იაკობაშვილმა, გ. არუთინოვმა, ჯ. ცარცილაძემ, სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ნ. ჯრიგოლავაშვილმა, პარტიის საჩხერის რაიკომის მეორე მდივანმა თ. ტრაპაიძემ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეზუთე სესიაზე ითქვა, რომ რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საქმიანი რეაგირება არ მოუხდენია „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ „თითქოს კერძო დუქანი“. ეს დარგი კვლავ ჩამორჩება გაზრდილ მოთხოვნებს.

თავიდანვე კრიტიკულად და საქმიანად წარმართა საკითხის განხილვა ღია პარტიულ კრებაზე და ისიც აორნშნეს, რომ თუმცა სთხოვეს, მაგრამ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ თავისი წარმომადგენელი არ გამოგზავნა.

სამეოთხედი წლის შედეგების განხილვამ იხადო, რომ გაზეთის პრინციპულობა კრიტიკამ მიზანს მიაღწია. მთელი თავისი ფრსებობის მანძილზე სამმართველოს კოლექტივმა პირველად უზრუნველყო წლიური დავალების შესრულება, გადაჭარბებულია მოგების გეგმა და ერთ სულ მოსახლეზე გათვალისწინებული მომსახურების დავალება.

თითქოს საგანგაშო არაფერია, მაგრამ თუ ანალიზს გავუკეთებთ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საქმიანობას, დარწმუნდებით, რომ დამშვიდების არავითარი საფუძველი არ არსებობს. უპირველესად, რაც თვალში გეცემათ, ეს ისევ და ისევ „კერძო დუქნებია“. აბა სხვა რა უნდა ეფიქროთ 80 ხელოსანს, რომლებიც კვლავ თავის ნებაზე მუშაობენ და შარშანდელი გეგმები არ შეუსრულებიათ, სამართლიანია მოწინააღმდეგეთა გულისწყრომა, რომელთა ხარჯზე გადაიფარა სამმართველოს დავალებები და გეგმების შესრულების მთელი სიმძიმე მათ დააწვათ.

კრების წინა დღეს შემოწმდა მომსახურების რამდენიმე ობიექტის მუშაობა. კიდევ სამარკეზინო ფაბრიკები გამოვლინდა. ადრე „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ დარღვევებისათვის სამოშაოდან გათავისუფლდა საეორკლო სამაჭროს გამგე ა. მაჭარაშვილი. რამდენიმე თვის შემდეგ იგი ადადგინეს.. მაგრამ მან ჩაუკა ვერ ისწავლა, კვლავ კერძო დუქნად წარმოიდგინა საამქრო და უსაბუთოდ აღმოაჩინდა 3,5 კუბური მეტრი თელისა და წაბლის ძირფასი მასალა. სოფელ ჯრიას საჩერეს საამქროში ა. მაკასარაშვილმა და მისმა დამხმარემ გ. ქიმაძემ დაჩეხილი მასალაში კლიენტს 50 მანეთით მეტი გადაახდევინეს. ფიზსაკმლის მეურაბმა ა. ხარაშვილმა მომხმარებელს 11 მანეთი გამოსძალა ერთ წყვილ ფიზსაცმელში. ანალოგიური ფაქტებია ტანსაცმლის საამქროებში. საადაც არ დაგიდევენ პრეისკურანტის დაკვრა და კლიენტებს პირდაპირ ორგიდებიან საკუთარი გამორჩენის მიზნით.

რაიონში კერძოდ მომუშავე ხელოსანთა დიდი ჯგუფია. უკითხეს შემთხვევაში ზოგიერთი მათგანი რომელიმე წარმოების სახელოსნოს აბრასაა ამოფარებული და თავიანთ ნაკეთობებს თავისუფლად ყიდიან ბაზარზე. რაიონის საფინანსო განყოფილება და მილიციის მუშაკები მათ მიმართ ზომებს არ ღებულობენ. შექმნილი ფაქტიურობით გათამამებულმა საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის ზოგიერთმა მუშაკმა თავი მიანება მუშაობას და კერძო ხელოსნობა დაიწყო. ასე გაკეთეს ჯალოთრის სადურგლოს თანამშრომლებმა ზაურ ცარციძემ და ეფა კაპანაძემ.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საყოფაცხოვრებო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ხელოსანთა საამოდ გარკვეული ნაწილი მის მიერ აშენებულ სარაიებში, საკუთარი ხელსაწყოებით დადგარებით მუშაობენ. არ მარაგდებიან საჭირო ნედლეულით, მასალებით. უმუშევრად დარჩენის შიშით თვითონვე ზრუნავენ საჭირო მასალების შესაძენად და ბუნებრივია, არც საპრეისკურანტო ფასებს იმორჩილებიან.

კრებაზე ბევრი დამაფიქრებელი ფაქტის შესახებ იყო ლაპარაკი: სამინისტროდან ყოველთვის ვერ იღებენ ფონდებით გამოყოფილ მასალებს, ან თუ მიიღწიეს და დიდი წვალების შემდეგ მიიღეს რაიმე, ისიც უხარისხოა. სამმართველოს მომმართველმა გიორგაძეშვილმა კოლისტკელილით ილაპარაკა სამინისტროს მომართველების სამსახურის ბიუროკრატობაზე. საპარეკმაზეროებ ი ს ათვის საჭირო მასალებზე მიმართვას იძლევიან „საქმალანტერეის“ სახელზე. აქედან ქუთაისის ბაზაში, ხოლო შემდეგ ისევ საჩხერის რაიკოოპერატივში ონდა ეძიო სასურველი საპნის პასტა, ფხვნილი, პუდრი...

ეს ერთიული შემთხვევა როდია. კრებაზე მოიყვანეს ერთი ფაქტი. სამინისტროს ცენტრალურ ბაზაში ოთხ მაღალი ხარისხის იმპორტული ფიზსაცმლის საპირე ტყავი. როდესაც ფონდით კუთვნილი მოთხოვეს, სამინისტროდან უარით გამოისტუმრეს, ასეთი რამ არ გაგვიჩნიაო.

თითქოს ცენტრალიზაციისა და სპეციალიზაციის საბაბით, ორი წლის წინათ საჩხერეში მომუშავე ასთალტის ქარხანა და მომნიკელი საამქრო გადაეცა ზესტაფონში შექმნილ „საქყოფრემმშენის“ და „საქყოფრემტექნიკის“ სამმართველოებს. ეს იყო და ეს. ამ დღიდან ამ ობიექტებს აღარ უმუშავნია, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ძალზე საჭირო კია მათი მუშაობა. სიანლის შაბლონური განხორციელება, თუ მას საქმისათვის სარგებლობა არ მოაქვს, უთუოო შეცდომაა.

რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ გასული წლისათვის დაგეგმა საჩხერეში 55-ადგილიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის მშენებლობა. ეს საქმე მიენდო სამინისტროს ქუთაისის სამშენებლო-სარემონტო უბანს, რომელსაც ნ. დგალაშვილი ხელმძღვანელობს. რაიონის ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ გაათავისუფლა სამშენებლო მოედანი, მრავალი თხოვნითაც წარდგენენ ხელმძღვანელ მუშაკებთან, მაგრამ ამაოდ. ამ ობიექტის ასაგებად დღემდე არაფერი გაკეთებულა. უთუოო მეტიც. პარტიის საჩხერის რაიონული კომიტეტი მრავალჯერ შეიკადა მოიწვია სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები შექმნილი სავალალო მდგომარეობის დასათვალიერებლად, მაგრამ არავითარმა თხოვნამ არ გაჭრა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო ბევრ წვრილმან საქმის მოიცავს. მისმა მესვეურებმა თუ გულთან არ მიიტანეს ყველაფერი, მშრომელთა სამართლიან საყვედურს ვერ ასცდებიან.

კრებამ საქმიანად ჩაიარა და საჭირო რეკომენდაციებიც შეიმუშავა. კომუნისტები სამინისტროსაგან უფრო მეტ კონკრეტულ დახმარებას მოელიან.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

განსაკუთრებით მკვეთრი ძერები საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში მიეცხრა ხუთწლედის ბოლო წლებში დაიწყო, როცა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში თანთოდ გააშალა ბრძოლა თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების განხორციელებისათვის. ეს პროცესი ადვილ უფრო დაჩქარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დიდებრის პლენუმის დადგენილების შემდეგ.

რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რაოდენობა 1965 წლის 7,2 ათასიდან 1976 წლისათვის 10 ათასამდე გადიდდა, ხოლო მომსახურების მოცულობა 32,4 მილიონი მანეთიდან 105,7 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. თუ 1965 წლის სისტემაში 26.5 ათასი კაცი მუშაობდა. 1976 წლისათვის მათმა რაოდენობამ 45 ათასს გადააჭარბა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ამ ახალგაზრდა და მნიშვნელოვანი დარგის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული მეათე ხუთწლედში. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა მთლიანად 1,61-ჯერ, ხოლო მარტო სოფლად — 2,12-ჯერ გადიდდება, ბევრ სახეობაში მოსახლეობის მომსახურების მოცულობის ზრდის ტემპი ჩვენში უფრო მაღალი იქნება. ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში.

როგორც მომდინარე ხუთწლეულში, ასევე შემდგომ პერიოდში სულ უფრო დიდი მასშტაბით განხორციელდება საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა განმსხვავებული, სპეციალიზაციისა და, საერთოდ, ინდუსტრიალიზაციის ორნისძიებები, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში აშენდება მრავალი ახალი, პროგრესული ტექნიკით აღჭურვილი კომბინატი მომსახურების ობიექტები.

თანამედროვე ეტაპზე როგორც მთლიანად სსრ კავშირის, ასევე საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ერთერთი ძირითადი ნიშანი ის არის, რომ მომსახურების სფეროში შრომითი რესურსების დასაქმება უფრო მეტი ტემპით იზრდება, ვიდრე მთლიანად სახალხო მეურნეობაში. მაგალითად, საქართველოს სახალხო მეურნეობის მატერიალური წარმოების დარგებში ოასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წონა 1965-1975 წლებში 6,3 პროცენტით შემცირდა, ხოლო მომსახურების სფეროში, პირიქით — 6,3 პროცენტით გადიდდა; ამ ობიექტურ მოვლენას განაპირობებს მომსახურების სფეროს განვითარების გაქანება სახალხო მეურნეობის შრომითი რესურსების პროფესიულ-კვალიფიკაციურ შემადგენლობაზე, მოსახლეობის დასაქმების დარგობრივ სტრუქტურასა და მისი შრომითი აქტივობის ზრდაზე, აარეფერ მთელ რიგ სხვა გარემოებაზე.

თუ ამ თანაფარდობაში თანამედროვე ეტაპზე მომხდარი ცვლილებები და შემდგომ ეტაპებზე ასეთივე კანონზომიერებით სულ უფრო მეტი ცვლილებების აუცილებლობა საგეგმო ორგანოებმა აქედანვე მეცნიერულ საფუძველზე არ გითვალისწინეს, მაშინ მომსახურების სფეროს დარგთა განვითარება პერსპექტივაში დიდად შეფერხდება. ამიტომ მათ დროულად უნდა იზრუნონ ამ დარგის მუშაკთა რაოდენობრივად ხარისხობრივ შემადგენლობაში ცვლილებების შეტანაზე.

ეს ცვლილებები დაკავშირებულია მოსახლეობის დასაქმებულობის დემოგრაფიული სტრუქტურის პრობლემებთან, კერძოდ, სქესისა და ასაკის მიხედვით მუშაკთა განაწილებასთან. მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის შრომითი დასაქმების პირობების ფავლასაზრისით მომსახურების სფეროს მთელი რიგი თავისებურება გაჩნია, უპირველეს ყოვლისა, ეს ის არის, რომ ამ დარგის ადამიანებს უშაალოდ მომხმარებლებთან ე. ი. მოსახლეობასთან კონტაქტში უხდებათ მუშაობა. ამიტომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მათ განსაკუთრებით მეთხოვებათ კლიენტებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება. ეს გარემოება განაპირობებს დარგის მუშაკთა სპეციფიკურ შემადგენლობასაც, კერძოდ, ქალთა შრომის გამოყენების დიდ შესაძლებლობას. მომსახურების სფეროში შრომის ობიექტური პირობები ჰქმნის იმის პოტენციურ შესაძლებლობას, რომ აქ უფრო მეტად მუშაობდნენ ქალები, ვიდრე მრეწველობის დარგებში.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დონის ამაღლება

საყოფაცხოვრებო მომსახურების პროგლემები

კადრები:

სწავლება, ასაკი

საკითხს აყენებს მეცნიერი

მუშა-მოსამსახურეთა საერთო განათლებისა და სპეციალური მომზადების ჰორიზონტის გაფართოებითაც შეიძლება.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემისათვის მასობრივი პროფესიის სპეციალისტთა მომზადება. ამ დარგის განვითარებისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დიდი ზრუნვის შედეგია ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიურ ფაკულტეტზე და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგისათვის მზადდება ინჟინერ- ეკონომისტები, ინჟინერ-ტექნოლოგები, და ინჟინერ-მექანიკოსები, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა ხელმაღლა ამაღლების ფაკულტეტზე ეკონომიური და სამართლებრივი ცოდნის დონეს იმაღლებენ მომსახურების სფეროს სამეურნეო დარგის მუშაკები, რომ მასობრივი პროფესიის მომზადებას და გადამზადებას აწარმოებს საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სასწავლო კომბინატი და რამდენიმე პროფტექნიკური სასწავლებელი. სწავლების კიდევ მრავალი სხვა ფორმით ხდება მომსახურების ამ სფეროს მუშაკთა საერთო განათლების დონის, კვალიფიკაციის და ეკონომიური ცოდნის ამაღლება.

მაგრამ თანამედროვე პირობებში აქ განსაკუთრებით არასახარბიელოა თანაფარდობა კვალიფიციურ და ხელმძღვანელ კადრებზე მოთხოვნილებასა და უზრუნველყოფას შორის.

ამჟამად რესპუბლიკის ზონახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში 45.190-ზე მეტი კაცი მუშაობს. ამათგან უმაღლესი განათლებით არის მხოლოდ 1428 (აქედან პროფილით — 15 პროცენტამდე), საშუალო სპეციალური განათლებით — 1930 (აქედან პროფილით — 30 პროცენტამდე), ხოლო ზოგადი საშუალო განათლებით — 19031 კაცი. ამის გარდა, დამატებულია ის თაქტიკა, რომ ამ დარგში დასაქმებულ მუშაკთა შორის არასრული საშუალო და უფრო დაბალი ცოდნა აქვს 22745 კაცს, ე. ი. მომუშავეთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს. სავალისმოა ის გარემოებაც, რომ მეათე ხუთწლედში დაგეგმილი საყოფაცხოვრებო მომსახურების მიღწევისათვის შრომის ნაყოფიერების 15-20 პროცენტით გაზრდის პირობებშიც საჭირო იქნება ამ დარგში მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 1976-1980 წლებში გადიდდეს, დაახლოებით 20 ათასი კაცით. ეს ციფრები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ თუ ამ დარგისათვის საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების კადრებს მომზადებისათვის დროულად არ დაისახა სერიოზული ღონისძიებები, მდგომარეობა პერსპექტივაში კიდევ უფრო გაუარესდება და სისტემისათვის შესაფერისი და საჭირო რაოდენობის კადრების უყოლობის გამო ის კრანდიოზული მოცულობის კაპიტალდაბანდებანი, რაც მეათე და მომდევნო ხუთწლედებში იქნება გადებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, დროის მოკვნით, ეფექტურად და მიზნობრივად ვერ იქნება გამოყენებული.

ამ სისტემაში მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და პროგრესული ტექნოლოგიის სულ უფრო ფართო მასშტაბით დანერგვას ბუნებრივად მივყავართ საშუალო განათლების კვალიფიციურ მუშაკთა ხვედრითი წონის მკვეთრად გადიდების აუცილებლობამდე.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მხრიდან დიდ ყურადღებას მოითხოვს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემისათვის არა მარტო საშუალო სპეციალური განათლებისა, არამედ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადებაც. ამჟამად აქ უმაღლესი განათლებით მხოლოდ 3,2 პროცენტია. ამ მაჩვენებლით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემა ისევ დიდად ჩამორჩება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს, მაგრამ თუ მხედველობაში მიგიღეთ ამასაც, რომ აქ დასაქმებულ 1428 უმაღლესი განათლების მუშაკთა მხოლოდ 15 პროცენტს აქვს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფილის უმაღლესი განათლება და უმაღლესი განათლების მქონე მუშაკთა 85 პროცენტი, შეიძლება ითქვას, შემთხვევითაა მოხვედრილი ამ სისტემაში, ჩვენ ეჭვარად უნდა მივიდეთ ამ დასკვნამდე, რომ ჯერ ერთი, ამ დარგის ხელმძღვანელო მუშაკთა კადრებს ძირითადად გადახალისება სჭირდება. ხოლო, მორე, ეს დარგი დღისაც უმაღლესი განათლების სპეციალისტთა დიდ ნაკლებობას განიცდის პერსპექტივაში კი თუ აქედანვე სერიოზული ღონისძიება არ დაისახეთ, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება.

კადრების ასეთი შემადგენლობის ვითარებაში სავანგაშოდ უნდა მივიჩნიოთ ის თაქტი, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ სათანადოდ არ შეიფასა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება, ასევე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1974 წლის 8 მაისის № 172 ბრძანება თბილისის სახელმწიფოო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიურ ფაკულტეტზე (1974-1975 სასწავლო წლიდან მოყოლებული) ყოველ სასწავლო წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობით სტუდენტთა მიღების თაობაზე.

ამის გამო საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტის დღის სწავლების განყოფილებაზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სპეციალობის ჯგუფები მხოლოდ ზოგიერთ კურსებზეა.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ინდუსტრიალიზაციის პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს, რომ გავაძლიროთ ამ დარგისათვის მეცნიერ-მუშაკთა მომზადებაც.

